დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 35 ოთხშაბათი, 31 დეკემბერი 1908 წ. № 35

გაზეთი „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვეში.

განცხადებ'ის ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

„დროების" კანტორისაგან.

ძველ ხელის-მომწერლებს პირველ იანვარიდან გაზეთი „დროება"

აღარ გაეგზავნებათ

„დროების" კანტორა ღიაა დილით 9—3 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

860

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

✦ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება ✦

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის სააგენტოს" დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთბამად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:

„დროების" კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქურუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა მიიღება: **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან; **გორში**—ს. პ. მჭედლიძესთან; **სურამში**—ქვლივიძესთან; **ცხინვალში**—ა. კვალიანიძეთან; **თელავში**—კ. ონიკაშვილთან.

◀ ხელის მომწერთა საყურადღებოდ ▶

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ტფილისში ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

გიორგი და კონსტანტინე იოსების ძენი, ბარბარე დავითის ასული და ევა მიხეილის ასული ზურმუხტაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—საყვარელ დედის, მეორენი—დედამთილის

მელანია მალხაზის ასულის ზურმუხტაშვილისას.

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე ნიკოლოზის ქუჩაზე, საკუთარი სახლში, № 10. დაკრძალვა ოთხშაბათს, 31 დეკემბერს. ცხედარს ამ დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან გაასვენებენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—700—2)

სადღესასწაულო წარმოდგენა

წარმოდგენა № 5. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 5.**

პარასკევს, 2 იანვარს 1909 წ. **ქართული თეატრის დაფუძნების სახსოვრად (1850—1909 წ.)** წარმოდგენამდე ბ-ნი ივ. გომართელი წაიკითხავს

რეფერატს ქართულ თეატრზე

რეფერატი დასურათებული იქნება ცოცხალის სურათებით ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

გაყრა

პირველი მოქმედება. გიორგი ერისთავისა.

II

სცენები მიროვოი პოსრედნიკთან

1 მოქ. ილია ჭავჭავაძისა.

III

მათიკო

მესამე მოქ. ავქსენტი ცაგარლისა.

IV

ბუტიაობა

ხუმრობა 1 მოქ. აკაკი წერეთლისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ლოჟები 12 მ.-დან 3 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ღალატი", „მემკვიდრე პრინცი", „სალხინო", „ხელები" ლემონიესი.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

ტფილისის სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 31 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

„სიყვარულის ღამე"

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, ზასლავსკაია, ოსიპოვა, კალინინა მეორე, ფერრარი; ბ-ნნი ევლახოვი, როზანოვი, ტომსკი, ლუტჩევი, კარელინი, ულუხანოვი, ჩერნოვი და სხვ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: 1 იანვარს დილ. დაკლ. ფას. შობის ხე, „ნურ და ანიტრა" და პროჟექტორი; საღამოთი „ჰუგენოტები"; 2 იანვ. სიცილიაში მიწის-ძვრისაგან დაზარალ. სასარგებ. „ევგენი ონეგინი"; 3 იანვ. „მშვენიერი ელენე"; 4 იანვ. ორი წარმოდგენა.

ცირკი ძმ. ნიკიტნებისა

ოთხშაბათს, 31 დეკემბერს, სპორტი-წარმოდგენა სამ-მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტები. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10 საათზე. საერთა-შორისო ჩემპიონი ფრანგულ **ჭიდაობისა** 8000 ფრანკ პრიზზე. იჭიდავებენ: 1. **ანდერსენი** და **ლურიხი.** 2. **პოსპეგშილი** და **რუჩკინი;** 3. **მულტონი** და **სევიჩი** დასასრულ აპოთეოზი. დაწვრილებით პროგრამებში.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

ექიმი ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—37)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—61)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, ხუხუნატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—25)

ექიმი თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლღას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—15)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—61)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საავადმყოფოს ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—ვვ.—22)

---

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

ტფ. კერძო სამკურნალო

(ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკზლის ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

ექ. ი. გ. ფედოროვი: ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

ექ. ვ. დ. ლამბაშიძე: ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოვ დღე; 11 ნახ—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

ექ. ი. გ. გომართელი: ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკრობიოლოგიური, ბაქტერიოლოგიური და ხიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—16)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლეჩამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—21)

ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—19)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

აკაკის იუბილეის ძვირფასი სახსოვარი

გასასყიდად დაურიგდა: ქ. შ. წიგ. გამ. საზოგად., ქუთაისში ის. კვიცარიძის და სხვა წიგნის მაღაზიებს ამხ. „კალმის" ახალი გამოცემა: ფერადი წამლებით დახატული საიუბილეო სიმბოლიური სურათი. ფასი ყველგან ორი აბაზი. უმთავრ. საწყობი ამხ. გამგესთან—გ. სალარიძესთან (ტფილისში: ოლგას ქუჩა, № 31). (3—უ.—3)

◀ მოზრდილ ▶

ქალთა კურსები

(მასწავლებლების საზოგადოება)

მიღება მოწაფეებისა 3, 4, 7 და და 8 იანვარს, ნიკოლოზის ქუჩა № 104. (3—უ.—3)

1909 წლის 1 იანვარიდან ტფილისში გამოდის ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ჩვენი ხმა"

გაზეთის ფასი ტფილისში: ერთი წლით 7 მან., 6 თვით—4 მ., 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით—80 კ.; ქალაქ გარეთ: ერთი წლით—7 მ., 6 თვით—4 მ., 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით—90 კ., საზღვარგარეთ: 1 წლით—10 მან., 6 თვით—5 მ. 3 თვით—3 მ., 1 თვით—1 მ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება დროებით სტამბაში, „ხორაპანის" მაღაზიაში კუნძულზე. (1—1)

ჭიათურის ეკლესიის ამშენებელი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ჭიათურაში, მდინარე ყვირილის მარჯვენა ნაპირზე უნდა გაკეთდეს დამბა. სიგრძე დამბისა დაახლოვებით სამოცდა-ათი საჟენი იქნება. ეს საქმე საჯარო ვაჭრობით გაიცემა. საჯარო ვაჭრობა მოხდება 20 იანვარს 1909 წელს, ნაშუადღევის 2 საათზე, ჭიათურის ბანკში.

ვისაც უნდა ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან გეგმა ნახოს ბანკში ყოველ დღე. (3ტ.—1)

სამუსიკო სკოლა

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა

განაგრძობს **მოწაფეების მიღებას** სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში, სპეციალურ საგნებზე: ფორტეპიანო, სკრიპკა, მუსიკის თეორია და სოლფეჯიო. კანცელარია ღიაა მოწაფეების ჩასაწერად ყოველდღე კვირა-უქმეებს გარდა, ნაშუადღევის 1—2 საათზე და საღამოს 6—7 საათზე შესატანი ფასი სამოსწავლო წლის მეორე ნახევრისათვის—30 მან. სწავლა დაიწყება 7 იანვარს. ჭავჭავაძის და გრიბოედოვის ქუჩების კუთხე, სოფიოს სკოლის სადგომში, № 4. (2—უ.—1)

გეომეტრი და მარკშაიდერი

ზ. ს. ასათიანი

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა საქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, 3 ს. ასათიანი. (0—6.—72)

ტფილისი, 31 დეკემბერი.

უწინ, როცა სულიერ ცხოვრების ერთად-ერთს საპყარს სარწმუნოება შეადგენდა, უცხოელი სტუმარი ხალხის გასაცნობად ყოვლის უწინარეს ეკლესიას მიჰმართავდა. ეკლესიაში და იმის გალავანში გამოიფინებოდა მაშინ განსაკუთრებულის სიცხადით ხალხის ზნე-ჩვეულება, დონე კულტურულ განვითარებისა, საგანი ხალხის სიყვარულისა, იმისი სულიერი საუნჯე და საზოგადოებრიობის ფორმები. მაშინ ეკლესიის კედლები, მორთულობა, სამკაული ნივთები, მხატვრობა, სიმდიდრე, ხელოვნური ნაწარმოებნი, წესიერების რიგი, მოწიწების გამომხატველი თავის დაჰერა, სარელიგიო რიტუალები და სხვა—ყველა ერთად უეცრივ ჰხატავდა ერის ცხოვრების სულიერ სურათს. ეს დრო წარსულს ეკუთვნის. ეხლა ეკლესია მხოლოდ ისტორიულ წარსულისაგან აწმყოზე გადმოხრილი ჩრდილია, რომელიც უფრო არქეოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს, ვიდრე თანამედროვე მდგომარეობის დამახასიათებელ სურათს. ჩვენს დროში ეკლესიის ადგილი დაიჭირეს სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა შენობებმა, სხვა და სხვა საზოგადოებათა სახლებმა, მუზეუმების და ბიბლიოთეკების საწყობებმა, თეატრებმა, კლუბებმა და სხვა დაწესებულებებმა.

ეს თავისუფალი შედარება წარსულისა და აწ-მყოს გარეგან ფორმებისა უნებურად აღიმართება ჩვენ თვალ-წინ წლის ბოლოს, როცა ხალხის ყველა ელემენტი საშობაო უქმეების გამო კულტურულ გასართობებს დაეძებს. ვინმე უცხო სტუმარმა რო მოისურვოს საქართველოს დედა-ქალაქში ქართველ ხალხის კულტურულ ცხოვრების გაცნობა სწორედ საშობაო უქმეების დროს და განიზრახოს გაეცნოს ყველა იმას, რის ფუნქციებსაც წინად ეკლესია ასრულებდა—რის ნახვა შეუძლიან და რა შეგვიძლიან ვაჩვენოთ? მაგრამ დავანებოთ თავი უცხო სტუმრებს, რომელნიც მუშტრის თვალით უცქერიან ჩვენს ცხოვრებას. თვით ჩვენ, საქართველოს დედა-ქალაქში მცხოვრებთ, ხომ გვაქვს სხვა და სხვა კულტურული მოთხოვნილება? ხომ კარგად ვგრძნობთ, რომ გონიერი გასართობი თვით ჩვენს პიროვნებას გაალამაზებდა და გაასპეტაკებდა. აბა ვიკითხოთ, სად და რით შეგვიძლიან დავიკმაყოფილოთ ეს მოთხოვნილება? ტფილისში სისტემატიურად სამი თეატრი მუშაობს, მაგრამ ქართული წარმოდგენები ორ-სამ კვირაში ერთხელ ძლივს იმართება; სხვა და სხვა ლექტორები თითქმის ყოველდღე კითხულობენ ნაირ-ნაირ შინაარსის ლექციებს, მაგრამ ქართულ ლექციის მოსმენა ორ-სამ თვეში ერთხელ ძლივს შეუძლიანთ; ისტორიული ნაშთები აუარებელია მოგროვილი, მაგრამ ისეა მიყრილ-მოყრილი ერთ ოთახში, რომ გინდ დიდი სურვილი გქონდეთ, მაინც ვერ დაათვალიერებთ; ქართველი მხატვარიც მოიპოვება ორიოდე, მაგრამ იმათი ნაწერები ისეა გაბნეული, რომ იშვიათად შეიძლება დაათვალიეროთ ისინი; ქართულ მუსიკასაც ჰყავს თავისი ქურუმები, მაგრამ ძალიანაც რომ გინდოდეთ, მაინც ვერ მიაგნებთ დარბაზს, სადაც ქართულ სიმღერების მოსმენა შეიძლებოდეს; ასეთი ბედნიერება წელიწადში ერთხელ ან ორჯელ თუ გეწვიათ, იმისიც მადლობელი უნდა იყოთ. თვით ხალხი, თქვენი ნაცნობები, თქვენთვის ძვირფასი ადამიანები, ან უცნობნი, მაგრამ მაინც კი საინტერესონი—სად შეგიძლიანთ ჰნახოთ თავისუფალ მუსაიფისთვის, მრავალ საჭირბოროტო საქმეებზე მოსალაპარაკებლად? არსად, თითქმის არსად. არც კლუბი, არც საზოგადოებრივ კავშირების ბინა და არც ჩვენი დროის ოჯახი—არაფერი არ გაძლევთ საშუალებას საზოგადოებრივ კავშირის გასამტკიცებლად. ყველაფერი დაქსაქსულია და დაფანტული. რად ღირს თუნდ ის, რომ ტფილისში ყველა მოდგმის ხალხი ახერხებს თავის ბავშვებისთვის მსუბუქ და ფაქიზ გასართობების მოწყობას, ქართველები ვერა.

მესმის, მკაფიოდ მესმის, რომ თქვენ ყველაფერს სიღარიბეს აბრალებთ და ხელმოკლეობას აწერთ. ამაო მეცადინეობაა. სიღარიბე—ყალბი მიზეზია; თქვენ თითონ არა გჯერათ, რომ ის იყოს მიზეზი ჩვენის დაქსაქსულებისა და უთაურობისა. სამწუხაროდ, მიზეზი უფრო ღრმაა, ვიდრე ქონებრივი ხელმიუწდომელობა. ეს მიზეზი—სიცოცხლის აპატიაა, სიცოცხლის უგემურობაა, ხალისის ავადმყოფობაა. ამ ავადმყოფობას წამლობა ესაჭიროება, ხოლო წამალი კი ამ ხალისის გაღიზიანება და თანდათანი მოქმედებაა. იქნება მომავალმა წელმა გვიმკურნალოს? ვინ გამოიცნობს! ეს კია, რომ უამისოდ ქართული ცხოვრება თანდათან შეიძლება ჩაიძიროს, წაიშალოს, მოისპოს...

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 დეკემბერი.

მიწის ძვრა.

რომი (დაგვიანებულია ხელმეორედ შეკითხვისა გამო). დეპუტატთა პალატამ ერთხმად მიიღო მთავრობის კანონ-პროექტი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ფულის გადადების შესახებ. კანონ-პროექტით, დასახმარებლად გადაიდება 30 მილიონი. ხუთი წლით მოემატება გადასახადებს ორი პროცენტი. პალატის სხდომები გადაიდო 3 იანვრისათვის.

მესინა. ნანგრევებიდან ამოიყვანეს ერთი ცოცხალი კაცი 43 წლისა, თორმეტი დღის უჭმელ-უსმელი. ამ კაცის თვალწინ ნელ-ნელა საშინელის წამებით დახოცილან შიმშილისაგან მისი ცოლი და ოთხი შვილი. ჯანზე ეს კაცი შედარებით კარგად არის. ღამე დიდი ღელვა იყო ზღვაზე; მიწაც იძროდა.

სპარსეთი

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო"-ს თეირანიდან ატყობინებენ: ბაქტიარების მეთაურმა ისპაჰანში აშკარად გამოაცხადა, რომ იგი ნაციონალისტების მხარეზეა და მოითხოვს კონსტიტუციონალური უფლებები ისპაჰანისათვის, სადაც უკვე შესდგა სახალხო კრება დეპუტატების არჩევნების მოსამზადებლად. ამბობენ, ბაქტიარებისაგან ზურგ-გამაგრებულებმა მოქალაქეებმა მიიღეს ზომები ქალაქის გასამაგრებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ქალაქს ალყა შემოარტყეს. ქალაქის სხვა და სხვა ადგილას ააშენეს სიმაგრეები. ქუჩებში შეიარაღებული ჯარის კაცები დაიარებიან.

ოსმალეთი

სტამბოლი. პალატის სხდომები განახლდა. თავმჯდომარეობს აჰმედ-რიზა-ბეი. წაიკითხეს დიდი ვეზირის ცნობა. დიდი ვეზირი სწერს, რომ გარეშე საქმეების შესახებ შეკითხვაზე პასუხი გადავდე 31 დეკემბრისათვის. მიზეზი გადადებისა—ავსტრიასთან მოლაპარაკების განახლებაა.

მინისტრთა საბჭო თანახმა არ არის ორ მილიონ ნახევრისა, იგი ითხოვს ავსტრიისაგან 10 მილიონსო. რაკი პარლამენტს ბევრი საქმე აქვს, შემუშავეს წესი საქმეების განხილვისა. რუსეთის ელჩმა ზინოვიევმა ინახულა პარლამენტში ახმედ-რიზა-ბეი 26 დეკემბრის დარბაზობის გადასახდელად. ზინოვიევმა მიიწვია ახმედ-რიზა-ბეი ნადიმზე, რომელიც გაიმართება რუსეთის საელჩოში ახალწლის შესახვედრად.

ბალკანეთი

ვენა. „კორესპონდენც ბიურო“-ს ცნობებით, ავსტრიის წინადადებამ ფულით ანაზღაურების შესახებ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთში. დიდი ვეზირი დაჰპირდა ავსტრო-უნგრეთის ელჩს, პასუხს ხვალ ან ზეგ მოგცემთ. შემდეგ მოლაპარაკებას ფორმალურად განაგრძობენ. ფიქრობენ, რომ ამ მიზეზით 29 დეკემბერს ოსმალეთის პარლამენტის სხდომაზე დიდ ვეზირს სიტყვა აღარ წარმოუთქვამს.

ბერლინი. ავსტრიის წინადადება ოსმალეთის სასარგებლოდ ფულის გადახდის შესახებ ოსმალეთში კმაყოფილებით მიიღეს. ოსმალების აზრით, ავსტრია სცდილობს მშვიდობიანობა დაიცვას. ფიქრობენ რომ ავსტრიის ამ პრაქტიკულ წინადადების ნიადაგზე მოლაპარაკება გათავდებაო. „ფოსიშე ცაიტუნგი“ ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის ერენტალის წინადადებაში ჰხედავს ახალ გაზდა ოსმალთა ზნეობრივს გამარჯვებას. მათ აიძულეს ერენტალი, დასდგომოდა დათმობის გზას.

ვენა. „კორ. ბიუროს“ სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: აქ გავრცელებულ ხმებით, ზოგიერთმა ელჩებმა ინახულეს დიდი ვეზირი და ურჩიეს ავსტრიის წინადადების მიღება.

„ნეიე ფრეი-პრესსა“-ში გამოქვეყნებულია სტამბოლიდან მიღებული დეპეშა, რომლითაც ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ტეფიკ-ფაშა ავალებს კორესპონდენტს გამოაცხადოს, რომ ყოველსავე საფუძველს მოკლებულია ოსმალეთის გაზეთებში მოთავსებული ცნობა იმის შესახებ, ვითომ ოსმალეთის მთავრობამ უარჰყო ავსტრო-უნგრეთის წინადადება. მინისტრმა განუცხადა კორესპონდენტს, მინისტრთა საბჭო ამ წინადადების შესახებ არავითარ გადაწყვეტილებას არ დასდგომია. ტეფიკ-ფაშა ავსტრო-უნგრეთთან შეთანხმებას უზრუნველყოფილად სთვლის.

საზღვარ-გარეთ

სიონი (შვეიცარიაში). სოფელ აკსის ეკლესიაში წესის შესრულების დროს თაღი ჩამოინგრა. მოკლულ იქმნა 28, დაშავდა 30 კაცი.

ბერლინი. იმპერიის დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, დაიწყო გერმანიის სავაჭრო კრება. კრების მიზანია, გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება იმპერიის საფინანსო რეფორმებთან. მონაწილეობას იღებს 400-მდე კაცი. სტატს-სეკრეტარმა გოლვეგმა იმპერიის კანცლერის სახელით მიულოცა კრებას. მან მუშათა პალატს კანონპროექტს სასარგებლოდ ილაპარაკა. სტატს-სეკრეტარმა სიდოვმა იმპერიის საფინანსო რეფორმა დაიცვა. ცხარე კამათის შემდეგ კრებამ უარჰყო ღვინის მონოპოლიის კანონპროექტი. კრებამ მარტო—სასმელების აქციზის ასაწევად სასურველად სცნო გაუქმებულ იქმნას ზოგიერთი შეღავათი ამ საქმეში.

პარიზი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, დღეს ჩამოახრჩვეს ორი ძმა, რომელნიც წინამძღოლობდნენ ყაჩაღთა ბრბოს პადე-კალეს დეპარტამენტში, და ორი წევრი ამ ბრბოსი. ეს პირველი მაგალითია ჩამოხრჩობისა საფრანგეთში უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში.

რუსეთი

კიევი. დაიწყო სრულიად რუსეთის ფოტოგრაფების კრება. მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც საჭიროდ სთვლიან დაარსდეს რუსეთში სპეციალური სკოლა მხატვრულ-ფოტოგრაფიის შესასწავლად. სკოლა უნდა დაარსდეს მოსკოვში.

პეტერბურგი. პოლიციამ პოდოლის ქუჩაზე გაჩხრიკა პოლიტეხნიკუმის სტუდენტის ნეიმანის და ინჟინერ-ტეხნოლოგის გაგაშკინის სადგომი. პოლიციამ ორ კალათაში აღმოაჩინა პიროქსილინი, დინამიტი და რამდენიმე რევოლვერი. სტუდენტი ნეიმანი შეიპყრეს, ინჟინერ-ტეხნოლოგი გაგაშკინი ჩხრეკის დროს სახლში არ იყო.

დონის-როსტოვი. ქალაქის განაპირა ადგილში აღმოაჩინეს რკინის გზის ყალბ ბილეთების გასაკეთებელი ქარხანა. ერთი კაცი შეიპყრეს.

პოლტავა. კობელიაკის მაზრაში ოთხი შეიარაღებული კაცი შეუვარდა ყაზახს დეევს. თავდამსხმელებმა წაიღეს ფული და ძვირფასი ნივთები, სულ 2,000 მანეთისა. დასჭრეს ადგილობრივი მკვიდრი, რომელიც დაედევნა თავდამსხმელებს.

დონის-როსტოვი. ვლასო-გრუშევის რაიონის მაღაროების პატრონების-მიერ მიღებული ზომები უშედეგოა. შეძლება არ არის, რომ ცეცხლი ჩააქრონ.

სევასტოპოლი. სამი უცნობი შევარდა რესტორანში, აუარებელ მუშტრის თვალწინ გაცარცვა კასსა და მიიმალა.

დღესასწაულების დროს ოთხი კაცი გახდა ავად ხოლერით. ერთი უკვე გარდაიცვალა.

პეტერბურგი. დღე და ღამეში ხოლერით ავად გახდა 23, გარდაიცვალა 3.

ვილნო. სოფლების წარმომადგენელთა კრებაზე მოდიან ახალი წევრები—მასწავლებლები, გლეხები და მღვდლები. მოვიდნენ სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე წევრები: საპუნოვი, ტიტიანინი, მღვდლები ნიკონოვიჩი და ვერაკსინი. მიიღეს რეზოლიუცია: ეთხოვოს სათათბიროს წევრებს, ყურადღება მიაქციონ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო საბჭოს არჩეულ წევრებს შორის დასავლეთ რუსეთიდან არც ერთი რუსი არ არის. კრებამ მიიღო მილოცვის დეპეშები სტოლიპინისა და ეპისკოპოს ევლოგის.

აკაკის ფონდი

დ. ჩოხატაური. უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ აკაკის ფონდის გამგეობას ან ვისაც ეს საქმე აბარია, ხუთი მანეთი და სამი აბაზი, რომელიც შეგროვილ იქნა დ. ჩოხატაურში აკაკის იუბილეის დღესასწაულის დღეს აკაკის ფონდის სასარგებლოდ.

მღვდ. **თომა მეგრელიშვილი**

რედაქციისაგან. ჩვენმა რედაქციამ აკაკის ფონდის სასარგებლოდ დღემდე მიიღო სულ 364 მ.ნ. 97 კ.პ. ეს ფული მიღებულია შემდეგ ადგილებიდან.

ამამა. მ-ნ თოდორიასაგან 19 მანეთი
გორი. მღვ. ბ. ხუტამშვილისაგან 4 „
მეუმა. მ-ნ ლუ. ლაპაურისაგან 54 მ. 60 კ.
ბიკა. მ-ნ ურ. [illegible] 40 „
ზაქათალა. მ-ნ ნ. მიუკამშვილისაგან 70 „
სამტრედია: აკაკის ხაიუბ. კომიტეტისაგან . . . . . . 171 მან. 77 კაპ.
ჩიხატაური. მღ. მეგრელიშვილისაგან 5 მ. 60 კაპ.

სულ შესდგება 364 მანეთი 97 კაპეიკი. ეს ფული სხვა და სხვა დროს სრულიად გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოებას.

„განათლების ლიგის“ კრების გამო.

ჩვენ მივიღეთ განათლების ლიგის გამგეობისაგან ლიგის კრების პროგრამა. სულ 18 საკითხია განსახილველი. უმთავრესი საკითხები შემდეგია: გამგეობის ლიგის მიერ შემუშავებული სასკოლო კანონ-პროექტი და ამასთან დაკავშირებული საკითხი საყოველთაო განათლების შემოღების შესახებ, უმაღლეს სასწავლებლის რეფორმა, მასწავლებელთათვის სემინარიების დაარსება. სხვათა შორის კრება განიხილავს იმას, თუ როგორ უნდა გაადვილდეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსების საქმე. კრება შეეხება იმ დაბრკოლებებსაც, რომელიც წინ ეღობება სახალხო თეატრებისა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა დაარსებას.

კრებაში მონაწილეობას იღებენ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების წარმომადგენელნი (სხვათა შორის ჩვენ წერა-კითხვის საზოგადოებასაც მოუვიდა მოწვევის ბარათი).

კრებისათვის ლიგის გამგეობა კარგა ხანია ემზადება; საგანგებო საორგანიზაციო კომისიაც აირჩია მასალის წინასწარ დამუშავებისათვის. ამ კომისიაში შედიან პეტ. უნივერსიტეტის რექტორი ბორგმანი, თავ. პ. დ. დოლგორუკოვი, განათლების ლიგის მდივანი ლვოვი, ლიგის გამგეობის წევრი ფალბორკი და სხვანი. კრება უნდა დაწყებულიყო 28 დეკემბერს, დამთავრდება დღეს, 31 დეკემბერს. კრების ანგარიშსა და რეზოლიუციებს შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს.

რედაქციისაგან

ხვალ, ახალ წლის დღეს, „დროებასთან“ ერთად დარიგდება პირველი ნომერი სურათებიან დამატებისა. ამ ნომრიდან იწყება ბეჭდვა ვ. ბარნოვის ისტორიულ მოთხრობის „სახიფათო სიყვარული“-სა. ეს ნომერი და, საზოგადოდ, დამატებიანი ნომერი გაიყიდება შვიდ კაპეიკად.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ისტორიული საღამო.** 29 დეკემბერს საღამოთი ტფ. კრუჟოკის დარბაზში „განათლების“ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართა ისტორიული საღამო. წარმოდგენილ იქმნა ისტორიული ცოცხალი სურათები. სურათები მშვენიერი გამოვიდა. საღამოს დიდი ძალი საზოგადოება დაესწრო და ჩინებულადაც ჩაიარა. სიმღერამ და ცეკვამ ნაშუაღამევის 4 საათამდე გასტანა.

◆ **დიდი მამულის გაყიდვა.** როგორც „ზაკავ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ კავკასიის ჯართა საარტილერიო გამგეობისთვის წინადადება მიუციათ შეიძინოს ატენის ხეობაში, გორის სადგურიდან ათი ვერსის მანძილზე, დიდი მამული, რომელიც შეიცავს შვიდი ათას დესეტინას. ეს მამული ამ ცოტა ხნის წინად ქართველ თავადს ეკუთვნოდა. გაზეთი არასა სწერს, ვის დარჩენია მამული და ვის შეუძლევია საარტილერიო გამგეობისთვის იგი სასყიდლად.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა 26 დეკემბერს მოხდა ალ. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. ამ საღამოს გამგეობამ უმთავრესად ისეთი მოხსენებანი წარუდგინა საბჭოს, რომელთა შესასრულებლადაც საჭირო ფული ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა იქმნას შეტანილი. საბჭომ გადასდო 200 მან. პეტერბურგის განათლების ლიგის დასახმარებლად, 60 მან.—მასწავლებელ-ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ, 100 მანეთი—ავჭალის ქუჩის სახალხო ბიბლიოთეკისათვის, 800 მანეთი—იაფ-ფასიან სასადილო და ყავახანის გამმართველ საზოგადოებისათვის, 500 მანეთი—მაჰმადიანთა სკოლისათვის და 1900 მანეთი—საბჭოს ყოველთვიურ ჟურნალის გამოსაცემად. ზოგი ხმოსანი, მაგ., რ. იოანნესიანი წინააღმდეგი იყო ჟურნალისათვის ფულის გადადებისა იმ მოსაზრებით, რომ ჟურნალში ფართო საზოგადოებისათვის არა საყურადღებო ოფიციალური მოხსენებები იბეჭდება, ეს კი ჟურნალის გამოუცემლადაც კეთდებოდა აქამდე და ამოდენა ფულის დახარჯვა ცოდვააო. თუ რედაქტორს უკეთეს აირჩევთ და ჟურნალის გამოცემის საქმეს უკეთ მოაწყობთ, მაშინ შეიძლება ფული გადავდოთო. საბჭომ გადასდო 1900 მან. მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ცოტა ხანში საბჭოს წარუდგინოს მოხსენება ჟურნალის გამოცემის რეორგანიზაციის შესახებ. 1900 მანეთიდან 600 მან. მიეცემა რედაქტორს. რედაქტორობა დავალებული აქვს საბჭოს მდივანს ჯაბაროს. მერე საბჭომ ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა 500 მან. ქალაქის თვითმართველობაში საკონტროლო განყოფილების ორგანიზაციისთვის მხოლოდ იმ პირობით, რომ ვიდრე ფულის ხარჯვას შეუდგებოდნენ, მოხსენება წარუდგინოს საბჭოს—როგორ უნდა მოეწყოს კონტროლის საქმე, რამდენი კაცი იქნება საჭირო და სხვ. დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ქალაქის უძრავ მამულების შეფასების შესახებ მოხსენებას. მოხსენება წაიკითხა გამგეობის წევრმა ალ. მ. არღუთინსკიმ, რომელიც ამტკიცებდა, რომ რუსეთის დიდ ქალაქების ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ივსება დასაფასებელ გადასახადით. მამულების შესაფასებლად გამგეობა თხოულობდა 35,000 მანეთს. ხმ. სტ. თ. ჰრელაშვილმა კარგა ხანს ილაპარაკა ამ საკითხის შესახებ, მან მოიგონა თანამედროვე ცხოვრების პირობები, საყოველთაო კრიზისი და სთქვა, დაფასება შემოდგომისთვის უნდა გადავდოთ, მით უმეტეს, რომ ქალაქის ღარიბ კასიდან 35,000 მანეთის გადადებას ვერ შევძლებთო. ჰრელაშვილს მხარი დაუჭირა ხმოსანთა უმრავლესობამ. დასასრულ საბჭომ უარ-ჰყო გამგეობის მოხსენება და ხარჯთ-აღრიცხვიდან გამორიცხა 35,000 მანეთი, შეფასების ხარჯისთვის გადადებული.

ფელეტონი

ადამიანის ბუნებიდან

სიცოცხლის გაგრძელებაზე

პროფ. ბახმეტიევის რეცეპტი სიცოცხლის გაგრძელებისა—ამ რეცეპტის შინაარსი. სიცივის გავლენა სხეულზე.—ცხოველთა გაყინვა და გაცოცხლება.—გაცოცხლების პირობანი.—ამ პირობებზეა დამყარებული ბახმეტიევის თეორია.—ზოგიერთი შენიშვნა.—პროფ. [illegible] დაკვირვებანი.

რამდენიმე წლის წინად პროფ. ბახმეტიევმა ჟურნალ „ესტესტვოზნანიე და გეოგრ.“-ში დასტამბა სენსაციური სტატია „მე-21 საუკუნემდე სიცოცხლის გაგრძელების რეცეპტი.“ კაცობრიობამ დიდის ვაივაგლახით მიაღწია მეოცე საუკუნემდე და ამის მიუხედავად პატივცემული პროფესსორი მაინც აღფრთოვანებულა და გაუტაცნია იმ აზრს, თუ როგორ მოახერხოს სიცოცხლის გაგრძელება მე-21 საუკუნემდე. ფრიად საყურადღებოა ამ გვარი მოვლენა: ის საგრძნობლად გვიმტკიცებს, თუ რა მოუსვენარი ყოფილა ადამიანი, იგი არა სჯერდება ამწყოს, მზადაა გადაალახოს დედამიწას, აფრინდეს ცამდე, ჩაიხედოს მომავალში და მოსტყორცნოს ის, რაც მისთვის საამო და სანატრელი. რასაკვირველია, ადამიანს სწადია ხანგრძლივი სიცოცხლე, მაგრამ ვერა სცოცხლობს დიდხანს. და აი ბახმეტიევიც მზადაა გააბედნიეროს კაცობრიობა. მისის წყალობით ჩვენ ისევ ვუბრუნდებით იმ გაცვეთილ საკითხს, რომლითაც დიდი ხანი დაინტერესებული იყო მოაზრე კაცობრიობა. ბევრს ჰფიქრობდნენ ამ საკითხზე წარსულ საუკუნის მიწურულში. ამ მხრით საკმაოა მოვიგონოთ პროფ. ბროუნ-სეკარის გამაახალგაზრდავებელი ემულსია, სხვა და სხვა ავტორის გამამჩალტებელი სპერმინი და ბოლოს პროფ. მეჩნიკოვის ჰიპოთეთიური შრატი. სჩანს, სიცოცხლე ტკბილი რომ ყოფილა და სწავლულნიც ჯერ კიდევ არ დაღლილან სიცოცხლის გაგრძელების სხვა და სხვა თეორიის შეთხზვაში.

ყველა ამ თეორიაში განცალკევებულად სდგას ბახმეტიევის თეორია. იგი თავისებურია და დამყარებულია სულ მარტივ მოსაზრებაზე. „ცხოველის ცხოვრებითი მოქმედება წლობით თან და თან სუსტდება. ეს ცხოვრებითი მოქმედება რომ შევაკავოთ, სხეულის ნივთიერების შეცვლა მინიმუმამდე დავიყვანოთ, ცხოვრებითი ხარჯი სრულიად შევაჩეროთ, ამ გვარ მდგომარეობაში ცხოველი არ დაბერდება, კვანძები არ მოეშლება, ის მხოლოდ მიეშვება, რამდენიმე ხნის შემდეგ რომ გამოვაფხიზლოთ, გამოცოცხლდება და ისევ განაგრძობს თავის შეჩერებულ სიცოცხლეს“.

ამ გვარია პატივცემულ პროფესსორის შეხედულება სიცოცხლის გაგრძელებაზე. ეხლა ვნახოთ, რით ხელმძღვანელობს იგი თავის აზრის დასამტკიცებლად. ვისაც თვალ-ყური უდევნებია ცხოვრების მოვლენისათვის, ის, უეჭველია, შენიშნავდა, რომ ცხოვრებითი მოქმედება მართლაც და ბევრ შემთხვევაში შესამჩნევად სუსტდება. ავიღოთ მაგ., ძილი. ყველამ ვიცით, რომ ძილის დროს ადამიანს ცხოვრებითი ნიშნები უფრო ნაკლებ ემჩნევა, ვიდრე ფხიზლობის დროს. სხვა რომ არა, ამას ისიც გვიმტკიცებს, რომ, როგორც გამოუკვლევიათ ექიმებს, ძილის დროს ადამიანი ამოისუნთქავს ნახშირ მჟავს 50 პროცენტით უფრო ნაკლებს, ვიდრე ფხიზლობის დროს. რაოდენობა ნახშირ-მჟავის ამოსუნთქვისა კი, როგორც ვიცით, ნამდვილი ზომაა ადამიანის ცხოვრებითი მოქმედებისა. მაშასადამე, ცხადია, როგორც ადამიანს, ისე ყოველ ცხოველს ცხოვრებითი ნიშნები უნდა უსუსტდებოდეს ძილის დროს. როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებენ, ამ გვარი ცხოვრებითი დასუსტება უფრო მძლავრად მჩნევია ცხოველებს ზამთრულ მძინარების დროს. შესამჩნევად უსუსტდება თურმე როგორც ადამიანს, აგრეთვე ცხოველს ყოველგვარი ფიზიოლოგიური მოქმედება საღათის (ლეთარგიურ) ხელოვნურ (ნარკოზით) და შეგონებით (Suggestion) ძილის დროსაც. ყველა ამ გვარ შემთხვევაში ცხოველი არასა სჭამს, მოშვებულია, მოკუნჩხული, ნელა სუნთქავს, მაჯა ძლივს უცემს, სისხლის მოძრაობა უგვიანებს, ნივთიერების შეცვლა რაოდენიმედ უმცირდება, სულ განაბულია; ერთის შეხედვით მოგაგონებთ მიცვალებულს, მაგრამ ის მაინც ცოცხალია: სუნთქამს, სისხლი, თუმცა ნელა, მაგრამ მაინც მოძრაობს და სხვა. ბახმეტიევის თეორიისათვის კი საჭიროა ცხოველი აღარ სუნთქავდეს, სისხლი აღარ უმოძრავდებოდეს, ნივთიერების შეცვლა სრულიად უჩერდებოდეს, ე. ი. სრულიად აღარ ეტყობოდეს რაიმე სიცოცხლის ნიშნები. ცხადია, მას ვერ დააკმაყოფილებს მძინარება. ვნახოთ, შეიძლება თუ არა ცხოველთა ცხოვრებაში ადგილი ჰქონდეს სხვა რომელიმე მაგალითს, სადაც ცხოველს აღარ ეტყობოდეს ცხოვრებითი ნიშნები? დიახ, ამ გვარ მაგალითებს ჰქონია ადგილი ბუნებაში და შეეხება მწერთა ცხოვრებას. მწერებს რომ თან და თან დაუწიოთ ტემპერატურა, გააციოთ, გაჰყინოთ, სულ ადვილად შეუჩერებთ სიცოცხლეს, მოუსპობთ ნივთიერების შეცვლას: აი ამის მაგალითებიც, დამყარებული სწორ გამოცდაზე.

მერიფილდის გამოცდით, პეპელა Selentia illustrata-ს ჭუპრი სრულ ფორმად იქცევა ჩვეულებრივ ტემპერატურაში, 0 გრადუსზე კი 50-ჯერ იგვიანებს. აგრეთვე vanesta-ს ჭუპრები ვითარდებიან სრულ ფორმებად ნორმალურ ტემპერატურაში მეცხრე დღეზე, 8 გრადუსზე კი მე-42 დღეზედაც ძლივს სრულდებიან. უმუდბინოვიჩის დაკვირვებით, აბრეშუმის ჭიის ჭუპრები სიცივის გამო სრულიად სპობენ მოძრაობას, არასა სჭამენ, ძრიელ გვიან ვითარდებიან. სიცივე არც სხვა მწერებს აყრის ხეირს, ბევრს კიდევაც ასალმებს წუთი-სოფელს, მაგრამ, საზოგადოდ, თუ სიცივე ზედ მეტი არ არის ყველანი ძილად იქცევიან, გათბობის შემდეგ კი ისევ ცოცხლდებიან და ძველებურად განაგრძობენ თავიანთ სიცოცხლეს.

გარდა მწერებისა, სიცივე საგრძნობლად მოქმედებს სხვა ცხოველებზედაც, მაგ., ბაყაყის კვერცხები სიცივის გამო ძრიელ გვიან ვითარდებიან, ხანდისხან, თუ სიცივე ხანგრძლივია, კიდევაც ფუჭდებიან და ლაყდებიან. აგრეთვე სიცივე არც თბილ სისხლიან ცხოველებს აყრის ხეირს. მაგ., მანჩქათელა, 0 გრადუსზე სულ ცოტას სუნთქავს, ნახშირ მჟავს სრულიად არ ამოისუნთქავს, ჰგდია სულგანაბული, შეგიძლიათ აიღოთ ხელში, გადააგდოთ, მას სიცოცხლისა აღარა ეტყობა-რა, მაგრამ გაათბობთ თუ არა, იგი მაშინვე ცოცხლდება და იწყებს ფრენას.

ყველა ეს მაგალითები იმას გვიმტკიცებენ, რომ სიცივეს დიდი გავლენა ჰქონია სხეულზე: სიცივის გამო გვიანდება ნივთიერების შეცვლა, სუნთქვა, სისხლის მოძრაობა, მაგრამ სრულიად მაინც არ იკარგებიან ეს ნიშნები. ბახმეტიევის თეორიისათვის კი, როგორც ნათქვამი იყო, საჭირო ნივთიერების შეცვლის სრულიად მოსპობა. ამის მაგალითებსაც ჰქონია ადგილი ბუნებაში. აქვე მოვახსენებთ.

ქიუსტის აუღია აბრეშუმის ჭიის მატლები და ისე გაუყინვია, რომ ადვილი ყოფილა მათი დამსხვრევა. ამის მიუხედავად, როდესაც მას ეს მატლები შეუტანია თბილ ოთახში, რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი მაინც გაცოცხლებულან და დაჭუპრებულან. როსს, პოლიალურ ქვეყნებში მოგზაურობის დროს, მოუგროვებია ერთგვარ პეპლის (Lomia-ს) ჭუპრები, ჩაუყრია ბანკებში და სამი თვის განმავლობაში ჰყოლია შენახული ყინულში. ამ ხნის განმავლობაში ისინი, რასაკვირველია, სრულიად გაყინულან. ამის მიუხედავად, შეუტანია თუ არა ისინი კაიუტაში, თანდათან გამოცოცხლებულან და გარდაქცეულან პეპლებად. გოლლენდის დაკვირვებითაც პიქტიულ იულიში ზოგიერთი ჭუპრი ზამთრის 35°-ზე სულ მთლად გაყინულა, მაგრამ გაზაფხულზე ისევ გაცოცხლებულა და შეცვლილა პეპლად. ესევე შეუნიშნავს პროფეს. შჩერბაკოვს შპიცბერგენზე. აქ მას უნახავს ერთი მწერი Achorutes viaticus, რომელიც 25 გრადუსზე სრულიად გაყინულა, მაგრამ გაზაფხულზე ისევ გაცოცხლებულა. ამ გვარსავე ფაქტებს გვიზიარებს ბნაუტი თბილ სისხლიან ცხოველებზე. მას გაუყინვია ბაყაყები ისე, რომ შესაძლო ყოფილა მათი დამსხვრევა, მაგრამ შეუტანია თუ არა ისინი თბილ ოთახში, მათი სხეული ნელ-ნელა გამთბარა, 6 საათის შემდეგ გულს დაუწყვია მუშაობა, 10 საათის შემდეგ თვითონაც ამოძრავებულან. ამაზე არა ნაკლებ საინტერესო ფაქტები მოუგროვებია პიქტეს. მას გაუყინია ზოგიერთი მწერები 28 გრადუსზე, შემდეგ შეუტანია თბილ ოთახში და გაუცოცხლებია. მისი დაკვირვებით, ბარდღალა ადვილად იტანს 50 გრადუზს სიცივეს, ინფუზორიები 100 გრადუზს, ბაქტერიები—213 გრ., კიბოს მსგავსნი—90 გრ., ლოკოკინები—123, თევზები—17—20. ესევე შეუნიშნავთ თევზებზე ფრანკლინის ჩრდილო პოლიუსისკენ მოგზაურობის დროს 1820 წ. მისი მატროსები იჭერდნენ ხოლმე თევზებს და აღაგებდნენ ზღვის ნაპირას; ისინი იყინებოდნენ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი გათბობის შემდეგ ხანდისხან 3-4 დღის შემდეგაც ცოცხლდებოდნენ.

ეს მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ სხვა და სხვა მდაბიო ცხოველებს ადვილად შესძლებიათ გაყინვის ატანა. გაყინვის დროს შესაძლო ყოფილა მათი დაფშვნა და ამის მიუხედავად შესაძლო ყოფილა მათი გამოცოცხლებაც, თუმცა ამ მდგო-

✦ რევოლვერის სროლა. 29 დეკემბერს კირპიჩნისა და ბელინსკის ქუჩების შესაყართან საღამოს 9 საათზე ვიღაცამ რევოლვერი ესროლა საქალაქო 6 კლასიან სასწავლებლის ინსპექტორს აფ[illegible]ასიონ ჯაფარიძეს. ტყვია ჯაფარიძეს ასცდა და კედელს მოხვდა. ბოროტ-განმზრახველი მიიმალა.

✦ თავის მოკვლა. 29 დეკემბერს პოლიციის პირველ ნაწილში, ბელინსკის ქუჩაზე, „გოროდოვოიმ“ ვინმე კოსაროვმა თავის ნათესავის ივანე ლაფშინის სახლთან რევოლვერით თავი მოიკლა.

✦ ძეგლი. მექანდაკე ი. ნიკოლაძე უკვე წავიდა პარიზში, სადაც იგი შეუდგება მგოსნის ილია ჭავჭავაძის საფლავისათვის ძეგლის დამზადებას.

✦ ქალაქის თავის წასვლა. ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი ქალაქის საქმეებისა გამო პეტერბურგს წავიდა ორშაბათს. 29 დეკემბერს, საღამოს მატარებლით. ქალაქის თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა მისი მოადგილე ალ. ივ. ხატისოვი.

✦ სადღესასწაულო ფონდი. ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების სასარგებლოდ საშობაო დღესასწაულებისთვის გადაიდო ოთხი ათასი მანეთი. ოლქის გამგეობის მოხელეებმა და თვით ოლქის უფროსმაც უკვე მიიღეს თავიანთი წილი, ხოლო როდის მიიღებენ სხვა მოხელეები, ჯერ არაფერი ისმის, თუმცა შობა ერთი კვირაც არის, რაც გავიდა.

✦ მილიონერის მუსა ნაგიევის მოტაცება. ბაქოში შანტაჟისტებს გაუტაცნიათ მილიონერი მუსა ნაგიევი. საქმე ასე ყოფილა: პარასკევს, 26 დეკემბერს, ნაგიევი და სამედოვი ეტლით ბრუნდებოდნენ ნაგიევის სახლში. პირველად ნაგიევი გადმომხტარა ეტლიდან და სახლში შესულა. სამედოვი კი მეეტლეს ფულს აძლევდა. ნაგიევს მოულოდნელად სახლში შეჰყვა ოთხი შეიარაღებული კაცი და ვიდრე იგი ოთახში შევიდოდა, უცნობებმა უბრძანეს, უკან დაბრუნდი, თორემ მოგკლავთო. ნაგიევს შეეშინდა და დამორჩილდა. ამის შემდეგ ბოროტ-განზრახველებმა ნაგიევი ჩასვეს ეტლში, თან წაიყვანეს სამედოვიც და გზას გაუდგნენ. ასე ეტლით გაიარეს მთელი ქალაქი. უცნობებმა ნაგიევსა და სამედოვს წინ-და-წინვე უთხრეს, თუ გაბედავთ რამე, იმ წამსვე გაგათავებთო. მერე ნაგიევი სადღაც წაიყვანეს, ხოლო სამედოვი გამოუშვეს. ნაგიევის მოტაცება ადმინისტრაციამ მხოლოდ [illegible] გაიგო. იმ წამსვე მთელი პოლიცია ფეხზე დააყენეს, დაიბარეს ერთი სოტნია ყაზახიც და შეუდგნენ ძებნას. პოლიციას და ყაზახებს სოფ. კეშლისთვის ალყა შემოურტყამთ და შესდგომიან ჩხრეკას, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩენიათ. სანამ პოლიცია და ყაზახები მისულან, ბოროტ-განზრახველებს თავისთვის უშველნიათ. ადმინისტრაციას გამოუკითხავს იმ მეეტლესთვის, რომელსაც ნაგიევი და გამტაცებლები წაუყვანია, მაგრამ მას საქმის გარემოება ვერ აუხსნია. ადმინისტრაციას გამოურკვევია, რომ გამტაცებელი 8 კაცი ყოფილა. მათ შორის არიან ქართველები, რუსები, სომხები და თათრები. ამბობენ, ბალახანის შოსეზე უცნობებს და ნაგიევს გზაში შეხვდათ უბნის ზედამხედველი და პოლიციელი, მაგრამ მათ თავი დაუკრავთ ნაგიევისთვის და წასულან. პოლიცია 26 დეკემბერს მთელი ღამე ჩხრეკავდა შენიშნულ ადგილებს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. ამბობენ, ნაგიევი ფულის გულისთვის მოიტაცესო, მაგრამ გამტაცებლებს ჯერ ფული არ მოუთხოვნიათ. ნაგიევი 65 წლის კაცია. (ბაკინეც)

✦ შეთანხმება. როგორც „ბაკინეცი“ გადმოგვცემს, „ბაკინსკოე ეხოს“ და „ვესტ. ბაკ“. რედაქციები შეთანხმებულან. ამის შემდეგ ამ ორი გაზეთის მაგიერ გამოვა ერთი წინანდელის სათაურით—„ბაქო“. რედაქტორად იქნება სარქისოვი, გამომცემლად ვერმიშევი.

✦ გაზეთის დახურვა. თითქმის ერთი თვეა, ტფილისის ადმინისტრაციის განკარგულებით დაიკეტა ყოველ-კვირეული ჟურნალი „საქართველო“. ბევრსა ჰგონია, რომ გაზეთი თვითონ რედაქტორმა დახურა.

✦ რეალური სასწავლებელი ზუგდიდში. ზუგდიდში თავად-აზნაურთა კრებამ მაზრის უფროსის წინადადებით, დაადგინა თავად-აზნაურთა ხარჯით დაარსოს რეალური სასწავლებელი.

✦ ახალი „ალმანახი“. დღეს გამოვიდა მხატვრული ალმანახი „ერთობა“. ფასი ყველგან 10 კაპ.

✦ 25 დეკემბერს, იარმუკაში, რუსის ქუჩაზე, მომავალ ღვინით დატვირთული ურემი, სამშელ გლეხის შაქრო მენაბდიშვილისა- ერევნის მოედნიდან მომავალი ტრამვაის ვაგონს დასჯახებია და სულ მთლად დალეწილა. მენაბდიშვილს ბევრი უყვირია, დააყენე ვაგონიო, მაგრამ ვატმანს ვერ შეუმაგრებია და ურემი გადაუბრუნებია. ერთი ბოჩკა გასკდარა და ღვინო დაღვრილა. ერთ კამბეჩს ფეხი მოსტეხია. თვითონ მენაბდიშვილიც დაშავდა.

✦ პარასკევს, 2 იანვარს, „ნემეცების ბაღში“ (მიხეილის ქუჩა) წარმოდგენილი იქნება „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ და „ტიმოთეს ლელვი“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

● 29 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, ბებუთოვის ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მოქალაქენი სიმონ მაკაროვი და ევგენი აქსენოვი, რომელთაც ფუთაში გახვეული მოპარული ნივთები მიჰქონდათ. ქურდები პასუხის გებაში მისცეს, ხოლო მოპარული ნივთები დაუბრუნეს პატრონს ბაირამოვს. ამავე საღამოს პოლიციამ სიონის ქუჩაზე დააპატიმრა ტფ. მაზრის მცხოვრები ნიკოლოზ [illegible], რომელსაც მორგებულის გასაღებით გაეღო ანნა ულიაროვის ბინა, იქიდან ნივთები მოეპარა და მიჰქონდა. ქურდი პასუხის გებაში იქნა მიცემული.

● 29 დეკემბერს ღამე ავჭალის ქუჩაზე პოლიციამ შეიპყრო აღამის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი ვასილ რომანოვიჩი, რომელსაც მოპარული ველოსიპედი აღმოაჩნდა. რომანოვიჩმა განაცხადა, არ ვიცი სად მოვიპარე ველოსიპედი, რადგან ძალზე მთვრალი ვიყავიო.

● 29 დეკემბერს ერევნის მოედანზე მაღაზიის პატრონებმა ერამოვმა და ტერგრიგოროვმა პოლიციას განუცხადეს, ჩვენი მაღაზიიდან ქურდებმა 5000 მანეთის საქონელი მოიპარესო. ქურდებს ქუჩიდან კედელი გამოუნგრევიათ და იქიდან გაუტანიათ საქონელი. ეჭვით დააპატიმრეს ორი კაცი.

წერილები

ქ. ენოტაევსკი. (ასტრახანის გუბერნია). 21 დეკემბერს ადგილობრივმა პოლიტიკურ გადმოსახლებულმა ქართველებმა გადამართეს მგოსნის აკაკის საიუბილეო დღესასწაული. სალიტერატურო—სამუსიკო საღამო, შემდგარი სამის განყოფილებისაგან, გაიმართა პოლიტიკურ გადმოსახლებულთა კლუბის დარბაზში. ამ დღისათვის მშვენივრად მოწყობილ-მორთულ დარბაზს ამშვენებდა აკაკის დიდი სურათი დღესასწაულისათვის სპეციალურად დამზადებული და ქართველებისადმი ნაჩუქარი პოლიტიკურ გადმოსახლებულის, ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის კაზანეცის შვილის მიერ. საღამოს, ქართველთა და სხვა ერთვნების პოლიტიკურ გადმოსახლებულთა გარდა, ბლომად დაესწრო ადგილობრივი ინტელიგენცია. საღამო დროს შესავალი სიტყვით გახსნა პ. საბაშვილმა. მან რუსულად და ქართულად გრძლად გააცნო საზოგადოებას აკაკის ბიოგრაფია, მისი პიროვნება და ლიტერატურული მოღვაწეობა. ძლიერ კარგი იყო შედარება და განსხვავება აკაკისა შ. რუსთაველთან და ი. ჭავჭავაძესთან: სმენად აქცია რუსები პარალელმა, რომელიც ორატორმა გაავლო აკაკისა და პუშკინს შორის. სიტყვაში უნდა შევნიშნოთ, დიდ უმრავლესობისათვის გაუგებარი იყო ის ადგილი, რომელიც ეხებოდა ერების ცხოვრების სხვა და სხვა ხანებს და რომელიც ორატორს დასჭირდა აკაკის რთულ ბუნების ასახსნელად. ბევრი ილაპარაკა ორატორმა იმის შესახებ, თუ აკაკი რატომ არ არის რომელიმე განცალკევებულ კლასის წარმომადგენელი და მისი იდეოლოგი, არამედ მთელ ქართველ ერის საკუთრია.

სიტყვის შემდეგ მომღერალთა გუნდმა ა. მეიფარიანის ლოტბარობით იმღერა „მრავალჟამიერი“ და „მუშური“ (აკაკის ლექსი და ი. კარგარეთელის მუსიკა). ამით გათავდა პირველი განყოფილება საღამოსი.

მეორე და მესამე განყოფილებებში ი. შველიძემ, გრ. გრიგორაშვილმა, ს. ვანდარელმა და ქართველმა ებრაელმა მ. მოშიაშვილმა მშვენივრად წაიკითხეს აკაკის ლექსები: „ორი სურათი“, „კრულ იყოს“, „ქართველი დედა“, „ბედნიერი მოხუცი“, „იუდა“ და სხვა, რომელთა შინაარსი კ. ბაქრაძემ და პ. საბაშვილმა გადასცეს საზოგადოებას რუსულად. ლექსთა კითხვის შემდეგ მგალობელთა გუნდმა თორმეტამდე სხვა და სხვა გურულ-იმერულ-კახური სიმღერა შეასრულა. დასასრულ „ცანგალა გოგონას“ სიმღერით გაიმართა ცეკვა, რის შემდეგაც კ. ბაქრაძემ დამსწრე საზოგადოებას ქ. ენოტაევსკში მყოფ ქართველების სახელით მადლობა გამოუცხადა და ამით დასრულდა საღამო.

„პატარა მცხეთა“.

ფოთი. ათ დღეზე მეტი გადის, რაც დასავლეთის ქარი მძლავრად ჰქრის. ცა გამუდმებით თოვლ-ჭყაპს ისვრის და საშინელი სიცივეა. ზღვაც ღელავს, შფოთავს ნაპირს გადმოსვლას უქადის. ამის გამო გვატყობინებენ მეტად გულშემზარავ ამბავს. ამას წინად ნოვოროსიისკიდან აქეთ მომავალი გემი რუსეთის სანაოსნო საზოგადოების „სვიატოსლავი“ დასტაკებია მეორე გემს. სვიატოსლავი დაზიანებულა და ჩაძირულა. ზღვის გამუდმებულად ღელვის გამო, ამათ ერთი მეორისათვის გვერდი ვერ აუქცევიათ. რამდენიმე ათი კაცი დაღუპულა. აქაურ გემებს ემინიათ წასვლისა და ზოგი მათგანი ფოთის ნავთსაყუდარს აფარებს თავს. ვისაც ამ დღეებში ზღვით მოგზაურობა მოუხდა, იშვიათად ნახავთ ისეთს, რომ ავად არ გამხდარიყოს. ზოგი ათათი დღეობით წევს ლოგინში დავრდომილ ავადმყოფსავით. თუ კიდევ კარგა ხანს გასტანა ქარმა, დიდ ზარალს მოიტანს. ზოგ სახლს ერთი ნაწილი სართულისა აგლიჯა კიდეც ქარმა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქურდ-ბაცაცების რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ისე გაწუწკდნენ, რომ იპარავენ უბრალო ნივთებსაც კი: ტაშტს, თუნგს და სხვას.

ლ. კ—ძე.

ფინლიანდია
და არა მკითხე მრჩეველნი

(დ. პროტოპოპოვისა*)

თუმცა ფინლიანდიის მცხოვრებნი თავისს ძალღონეს გაალმასებულ კლასთა ბრძოლასა და აწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შენარჩუნებაზე ხარჯავდნენ, მაინც ეხლა ფინლიანდიის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს მისი კულტურის ყოველ მხრივი განვითარება და მის აღვავებისაკენ შეუჩერებელი ლტოლვა.

ქალაქები სულ ახალ ახალ გეგმებზე შენდება; რომლებშიაც სახლები ორიგინალურის ხუროთმოძღვრებითაა ნაშენი, ეს სახლები თავის მოხდენილობა—მოყვანილობით თვალს იტაცებენ ბანკები, მაღაზიები, კანტორები, საწყობები, სკოლები, კავშირები, სამრეწველო დაწესებულებანი. აუარებელი ჟურნალ-გაზეთი გამოდის, რომელთაც მკვიდრი ნიადაგი აქვთ მოპოვებული და მერმისიც უზრუნველ-ყოფილი. მაწარმოებლობა და საქონლის მოშენება განვითარების უმაღლეს ხარისხამდე ასულა. ეს დარგნი მეურნეობისა მშვენივრად შეეწყვნენ კლიმატიურ პირობებს, დიდს ფულს დაბანდებისა სულაც არ ეშინიათ და [illegible] გამოგონებათაც უმალ მოხერხებულად ითვისებენ.

მართალია, წინანდელი სეიმები მთელის კუთხის გამომხატველი არ იყო და სოციალური საკითხი თითქოს დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ აი დაჰბერა ახალმა სიომ,—ნაყოფმა რუსეთის 1905 წლის მოძრაობისამ,—და ახალ სეიმის სკამებიც დემოკრატიულ წრეების წარმომადგენელთაგან აივსო; მართალია, ისინი პოლიტიკურის მხრივ ნაკლებ გამოცდილნი იყვნენ, ნაკლებ გამოწრთობილნი იმ ბრძოლაში, რომელსაც მათი წინამორბედნი ეწეოდნენ, სამაგიეროდ მათ სეიმის დარბაზში, სადაც კი სხდომები ხდებოდა, თავისუფლების ცხოველ მყოფელი სული შეიტანეს და თან თანამედროვე, ცხარე კითხვები. პირველ ჯერზე მცხოვრებთა ფართო წრეებისათვის უაღრესის მნიშვნელობის საკითხები, რომელთაც წინანდელი სეიმები საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ.

ამ საკითხების აღძვრაში შესამჩნევ როლს თამაშობდნენ ფინლიანდიელი ს.-დემოკრატები, რომელთაც ხალხი მრავლად ირჩევდა. თუმცა ისინი უმაღლეს სწავლა-ცოდნით არა ბრწყინავდნენ და არც პოლიტიკურის გამოცდილებით, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს გაცხოველება სეიმისა, სადაც უკვე სალხის საჭიროებაზე გაისმის სიტყვები, სადაც განთიადამდის სოციალურ საკითხებს ჩაჰკირკიტებენ. მართალია, აქაური ს.-დ. ფრაქცია კულტურულ-სოციალურ მუშაობას მაღლა აყენებს, მაგრამ იგი ზომიერების მომხრეც არის „დიდ“ პოლიტიკაში.

მიუხედავად ამისა, რეაქციის დაწყებისათანავე ფინლიანდიაზედაც იერიში მიიტანეს. ამჟამად ფინურ ხალხის ფართო წრეებმა, როგორც საწყინარით ქმედით, „საუკუნო ზრუნვას“ მისცეს თავი· რუს პატრიოტთა მიერ გამოგონილი არაკები აჯანყებისათვის მზადებისა ფინლიანდიაში, იარაღის საწყობებისა და „ვოიმას“ საზოგადოების შესახებ ეხლა იმათაც აღარა სჯერათ, რომელნიც ამას წინად ყურებს გვიჭედავდნენ მათზე ძახილით (თუკი მათ მაშინაც კი სჯეროდათ).

ამ პირობებში გონიერი სახელმწიფოთა მოღვაწე ფინლიანდიის განსაკუთრებულ ყურადღებას სულაც არ მიაქცევდა. დასავლეთ საზღვრებიდან რთული საკითხები გვიახლოვდება. სახელმწიფოს

---

*) გაზეთი „რეჩი“ 23 დეკემბრისა.

მარეობაში მათ სიცოცხლის არავითარი ნიშანი აღარ ეტყობოდათ თურმე.

ამ გვარ მდგომარეობას (როდესაც ცხოველი სულგანაბულია, არავითარი სიცოცხლის ნიშნები აღარ ეტყობა, მაგრამ კიდევ შეუძლია გამობრუნება) ბახმეტიევი უწოდებს ფსევდო ანაბიოტიურ ანუ, ქართულად რომ ვთქვათ, საეჭვო უსიცოცხლო მდგომარეობას. ბახმეტიევის სიტყვით, აბსოლიუტურ ანაბიოზს ანუ უსიცოცხლობას ბუნებაში ადგილი არა აქვს, ე. ი. როდესაც ცხოველს სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი უქრება, მაშინ მისი გამოცოცხლებაც შეუძლებელია. უეჭველია, ეს აზრი ყოვლად მართალია. ბიოლოგიაში დიდი ხანია დამყარებულია, რომ ყოველივე ცოცხალი იბადება ცოცხლისაგან, არარაობისაგან რაიმეს გაჩენა შეუძლებელია და ამ ნაირად როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ გაყინვის შემდეგ ცხოველი ისევ ცოცხლდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მას გაყინვის დროს არ ჩაჰქრობია სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი, რომ აქ ანაბიოზს ადგილი არა ჰქონია, ცხოველი მხოლოდ საეჭვო უსიცოცხლო მდგომარეობაში ყოფილა, ე. ი. იმ მდგომარეობაში, რომელიც შეედარება დამალულ პოტენციალურ ენერგიას.

ბახმეტიევს ისიც გამოუკვლევია, თუ რა პირობებში ხდება ცხოველის გაყინვა. როდესაც იყინება რომელიმე ცხოველი, იგი თავდაპირველად ცივდება, მერე, როდესაც ეს გაცივება დავა დანიშნულ ტემპერატურაზე, ისევ თბება, მერე კი ხელმეორედ ცივდება და ყინულდება. ამ გვარ გარდაცივებას და გარდაყინვას ყოველსავე ცხოველისათვის სხვა და სხვა საზღვარი ჰქონია. ამ საზღვრის გარდაცილებას ველარ იტანს ცხოველი და ეთხოვება წუთი-სოფელს. მაშასადამე, როგორც ბახმეტიევი ამტკიცებს, საჭიროა ვიცოდეთ რომელ ტემპერატურაში ცივდება და იყინება ცხოველი. ამ გვარ ტემპერატურის შესწავლის შემდეგ „ჩვენ ადვილად შეგვიძლიან ცხოველი გავაციოთ, გავყინოთ, ვიყოლიოთ ამ მდგომარეობაში რამდენიც გვინდა, და მერე ისევ გავაცოცხლოთო.

ამ გვარია პროფ. ბახმეტიევის აზრი და იგი ღრმად დარწმუნებულია, რომ მას ადვილად შეუძლიან სხეულის გაყინვით სიცოცხლის გაგრძელება. აქვე უნდა შევნიშნოთ რომ მ.ს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი გამოკვლევანი, არ შეუსწავლია ყველა ცხოველის გაცივების და გაყინვის ტემპერატურა, მაგრამ ამის და მიუხედავად მაინც თამამობს და ამტკიცებს, თუ მწერებს შეუძლიანთ თვეობით გაყინვის ატანა, ადამიანი რაღა არისო? „გაყინვის შემდეგ, ამბობს ბახმეტიევი, ადამიანის გამოცოცხლებაც ადვილი უნდა იყოს. საჭიროა მხოლოდ იგი იმდენ ხანს არ დარჩეს სიცივეზე, რომ მისმა სისხლმა მოასწროს ხელმეორედ გარდაცივება და გადაყინება. რაც შეეხება სხვა თბილ სისხლიან ცხოველებს, მათი გამოცოცხლება გაყინვის შემდეგ ხომ სულ „ადვილია“-ო.

საზოგადოდ, ბახმეტიევის რეცეპტი გამოიხატება შემდეგში: თავდაპირველად თბილ სისხლიანი ცხოველი უნდა დავამსგავსოთ ცივ სისხლიანს (რადგან შენიშნულია, რომ ცივ სისხლიანი ცხოველები უფრო ადვილად იტანენ გაყინვას), უნდა დავაძინოთ იგი. როდესაც ცხოველი დაიძინებს, უნდა ჩავსვათ ცივ ჰაეროვან ვანნაში, ვანნის ტემპერატურა თან და თან უნდა დავუწიოთ ისე, რომ ცხოველის სისხლი გაიყინოს. ეს ტემპერატურა უნდა აღვნიშნოთ და უნდა ვეცადოთ, რომ ცხოველი ხელ-მეორედ არ გადაიყინოს. გაყინვის შემდეგ ექვს თვემდე უნდა მივანებოთ თავი ცხოველს. მერე უნდა ამოვიღოთ ვანნიდან და შევისწავლოთ ყოველ-მხრივ მისი მდგომარეობა. პირველ დროისათვის საკმაოა 5 წლის ცდა. თუ ამ დროს ცხოველი ადვილად აიტანს გაყინვას, მერე შეგვეძლიან კიდევ დავუმატოთ 5 წ., მერე 10, 20 და ასე ამრიგად მთელი საუკუნეც.

ამ რიგად უნდა ბახმეტიევს გაგვიგრძელოს სიცოცხლე. ვერ წარმოგვიდგენია, ვინ იქნება იმისთანა თავზე ხელ-აღებული, რომ გაბედოს ამგვარ ცივ ჰაეროვან ვანნაში ჩაყურყუმალება და გაყინვა? უეჭველია, ფრიად საინტერესოა მისი დაკვირვებანი. ეს დაკვირვებანი ბევრ რასმეს გვეუბნება მწერების გაყინვისა და გაცოცხლების პირობებზე, სხვა და სხვა ტემპერატურის გავლენაზე, მაგრამ მათი განსაზღვრება ჯერ მაინც ადრეულია და მათზე სიცოცხლის გაგრძელებას თეორიის დამყარება უსაფუძვლოა. საქმე იმაშია, რომ ადამიანი სხვაა და მწერი სხვა. ორივეზე ერთი და იგივე ბუნების კანონი მოქმედებს მაგრამ ნიადაგი ამ კანონის მოქმედებისა სულ სხვა და სხვაა.

ერთხელ ეგვიპტეში უნახავთ ფარაოს საფლავი. საფლავში ჩაკირული ყოფილა კუბო. სასაფლაოს კედლები ისე მაგარი ყოფილა, რომ მათში ჩაძრომა არაფერს არ შესძლებია. ამისდა მიუხედავად, როდესაც კედელი შეუნგრევიათ და კუბო გაუხსნიათ, უნახავთ, რომ იქ სულგანაბული მოკრუნჩხული ყოფილა ლოკოკინა. აშკარა იყო, რომ ლოკოკინა კუბოში დამარხვის დროს ჩაჰყოლია. ამოუყვანიათ თუ არა ლოკოკინა, იგი მაშინვე გაცოცხლებულა. ფარაოს დამარხვიდან სამი ათასი წლიწადი ითვლება, მაშასადამე, ლოკოკინას სულგანაბულად სამი ათასი წელიწადი უცხოვრია. ნუ თუ ესევე შეგვიძლიან ვთქვათ ადამიანზე? ნუ თუ ადამიანისათვისაც შესაძლოა სამი ათასი წლის სულგანაბულად სიცოცხლე? ადამიანი დიდი რთული არსებაა და იმ პირობების ატანა, რომელსაც ადვილად იტანს ლოკოკინა ან მწერი, უეჭველია, ვერასოდეს ვერ შესძლებს. სასწაულები ეხლა აღარა ხდება დედა-მიწაზე და მომავალში რა მოგველის, ძნელი სათქმელია.

საზოგადოდ, ძლიერ ცალ-მხრივია ბახმეტიევის სიცოცხლის გაგრძელების რეცეპტი. იმ.ს, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ჯერ ისიც ვერ გამოუკვლევია, თუ როგორ მოქმედებს სხვა და სხვა ტემპერატურა სხვა და სხვა ცხოველზე—ამ მხრით ახალ-ახალი დაკვირვებანი სულ სხვა და სხვას გვეუბნებიან და ხშირად გვაწვდიან სულ მოულოდნელ ფაქტებს. აი ვნახოთ, რა შეუმჩნევია ამ მხრით ციურიხის პროფ. შტანდფუსს

პროფ. ვეისმანს დიდი ხანია შეუმჩნევია, რომ ტემპერატურას დიდი გავლენა ჰქონია პეპლების ფერადობაზე, როდესაც ისინი იცვლებიან მატლიდან პეპლებად. თავის მხრით პულტონს დაუმტკიცებია, რომ ეს ფერადობა დამყარებულია იმ ფერად სხივებზე, რომელთა გავლენითაც მატლები იცვლებიან პეპლებად. მაგ. ჭინჭრელას (vanessa urticae) ჭუპრი ყვითელ წინწკლიანია. პულტონს აუღია იმისი მატლი, ჩაუსვამს შუშის ჰურჭელში და გადაუკრავს შავი ქაღალდით. შავი ქაღალდი იკრეფს და უშვებს მარტო შავ სხივებს. ამ შავ სხივების გავლენის გამო რამდენიმე ხნის შემდეგ მატლი შავ ჭუპრად გადაქცეულა. მეორე შემთხვევაში პულტონს ჰურჭელი გადაუკრავს თეთრ ქაღალდით და რადგან თეთრი ქაღალდი მარტო თეთრ სხივებს უშვებს, ამ თეთრ სხივების გამო მას მიუღია თეთრი ჭუპრები.

დიდად საინტერესოა აგრეთვე შტანფუსის დაკვირვებანიც. შტანფუსს შეუმჩნევია, რომ ტემპერატურას მწერთა ფერის გამოცვლა კი არა, ფორმის გამოცვლაც შესძლებია. მისი დაკვირვება შეეხება ციურიხის ჭინჭრელას, რომლის სხვა და სხვა მოდგმა დიდათაა გავრცელებული დასავლეთ ევროპასა, ლაპლანდიასა და სარდინიაში. მას აუღია ციურიხის ჭინჭრელის მატლი, ჩაუსვამს ჰურჭელში 4—6 გრადუსის სითბოზე. ამ ტემპერატურის გავლენის გამო მატლი გადაქცეულა იმ მოდგმის პეპლად, რომელიც ჩვეულებრივ სცხოვრობს ლაპლანდიაში. როდესაც მას აუღია მატლი და გამოუტანია დიდ სიცხეზე, მიუღია იმ გვარი ფორმა, რომელიც სცხოვრობს სარდინიაში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მატლზე მოქმედებდა 45 გრადუსი სიცხე მხოლოდ ორი საათის განმავლობაში, იგი შეცვლილა ტროპიკულ ფორმის პეპლად. შესადარებლად შტანდფუსს აუღია მახაონის მატლები, იმათზედაც შეუსრულებია ანალოგიური ცდა და მიუღია თითქმის იგივეობითი, შედეგი. ერთ შემთხვევაში იმგვარი ფორმაც მიუღია, რომელიც ჯერ სრულიად უცნობი ყოფილა დედა-მიწის ზურგზე.

უეჭველია, ამგვარ დაკვირვებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიისათვის. თავდა-პირველად ეს დაკვირვებანი გვიჩვენებენ იმას, რომ მოდგმისათვის სასარგებლო ნიშნების შენახვა არ არის დამყარებული მარტო ბუნებრივ შერჩევაზე, არამედ იმაზე, რომ ფორმების გაჩენაში ბუნებაში „სხვას“ რასმესაც ჰქონია მნიშვნელობა. რაა ეს „სხვა“ მნიშვნელობა, ჯერ ვერ გამოუკვლევიათ, და ჩვენც ვერას ვიტყვით ამაზე. მეორეს მხრით, ეს დაკვირვებანი გვიმტკიცებენ, თუ რა მძლავრი ყოფილა გარეგან ძალის გავლენა სხვა და სხვა ფორმის შექმნაში. ნუ თუ გასაოცარი არ არის ორი საათის განმავლობაში სიცხის გავლენით იმგვარ ფორმის მიღება, რომელიც ჯერ არავის არ უნახავს დედა-მიწის ზურგზე? აქ მოსალოდნელია გვიპასუხონ: რა გასაოცარია ამგვარი მოვლენა, შემთხვევით ყოველივე შეიძლება მოხდეს?

ჩვენც ვუპასუხებთ: როგორც გვასწავლიდა დარვინი და გვასწავლიან მისი მიმდევარნი, ბუნებაში შემთხვევას არა აქვს ადგილი. აქ ყოველივე დამყარებულია სწორ კანონებზე. როდესაც რომელიმე მოვლენის ასახსნელად, ვხმარობთ სიტყვას „შემთხვევას“, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ არა გვესმის-რა ამ მოვლენის გაჩენის პირობისა. ამის მაგალითიც მრავალია ბუნებაში.

დ. ახვლედიანი.

მიგნითაც ასეთი საკითხები აუხსნელია ჩვენს წინაშე და მოითხოვს მალამოს დადებას. განა ამერის ღირს ძალის მოკრება და პატარა განაპირა კუთხეებთან გამკლავება? არა სჯობია, განსაკუთრებით ამისთანა დროს, იმის შესახებ ამ ბრძნულ ანდაზას მივდიოთ „quieta non monere?“

ასე გამოდის ლოღიკით, ტაქტიკურის მოსაზრებით.

ჩვენ არა ფიქრობთ, რომ ცენტრალურ მთავრობის მოსაზრებაში შედიოდეს ფინლიანდიის კონსტიტუციის ახალი შეცვლა. ამ შეცვლას აუცილებლად ურთიერთობის გამწვავება მოჰყვება. საღი ინსტიქტი ხომ მაინც უნდა ხელმძღვანელობდეს მთავრობას, მით უმეტეს, რომ იგი უფრო სერიოზულ საკითხებში უნდა იყოს გართული. მაგრამ არიან კეთილის მდომნი, რომელნიც განსაკუთრებით „ფინლიანდიის საკითხში“ არიან გართულნი და მოცალეობა აქვთ თავისი მიზანი ცხოვრებაში დაბეჯითებით გაიყვანონ.

ადამიანთა ყველა საქმეში ბევრი რამ შეუძლიან გააკეთოს მცირე, მაგრამ შეკავშირებულ ჯგუფს, თუ კი იგი მთელ თავის ყურადღებას ერთს რომელსამე საქმეს მიაპყრობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოქმედების ამამოძრავებელ ძალად კერძო გრძნობაა. ესევე ფინლიანდიის საქმეშიაც. პეტერბურგში სცხოვრობენ და მოქმედებენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ვერ დაუვიწყნიათ 1905 წელს მათზე და მათ მახლობელ, ბობრიკოვის მიერ დანიშნულ მოღვაწეებზე, მოვლენილი ქარტეხილი. აი მათ და მათ მცირე რიცხოვან თანამოაზრეთ, დაბრმავებულთ კერძო შურის ძიების წყურვილით, დაუვიწყნიათ ყოველგვარი სახელმწიფო მოსაზრებანი, მაგრამ, სარგებლობენ რა ისტორიულის მომენტით, მიაქვთ იერიში იერიშზე ფინლიანდის წინააღმდეგ, როგორც ბეჭვდითი სიტყვის საშუალებით, ისე ნახევრად ოფიციალურ სხდომების წყალობით. მართალია ესა? ამ კითხვაზე შეუძლიანთ გვიპასუხონ ბ-ნთ დეიტრიხმა, ბოროდკინმა, ბერენდსმა.

რა სურთ ამ ერთი მუჭა ადამიანთ? არა მგონია, რომ მათ თავიანთი მიზანი ნათლად ჰქონდეთ წარმოდგენილი—გრძნობა დიდათ სჭარბობს მათ. მაგრამ მათი ხერხი აი რაში მდგომარეობს. იმათ კარგად იციან, რომ ფინლანდიელნი მზად არიან კანონიერ დათმობის გზას დაადგნენ, იმ პირობით კი, რომ ყოველი აღძრული საკითხი კონსტიტუციაში ნაჩვენებ გზით გაირჩეს. აი სწორედ აქ უნდათ ხეპრულად დაარღვიონ ფინლანდიელთა უკვე დამთავრებული სახელმწიფო—უფლებრივი შეხედულებანი. ამიტომ სარგებლობენ ისეთის შემთხვევებით, როდესაც ახალ კანონისა ნათელი არ არის, თუმცა შინაარსი მისი თვალსაჩინოა, გასაგები, წინანდელ მაგალითებითაც ახსნილი. ყველა ძველ კანონმდებლობაში შეხვდება კაცი ნაკლულევანებას. ფინლანდიის წინააღმდეგ პოლიტიკის სულის ჩამდგმელნიც სწორედ ასეთს ნაკლულევანებებს ჩასჭიდებენ ხოლმე ხელს და თან გაიძახიან, ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის შევეხოთ ენას, სარწმუნოებას და ადგილობრივ თვით-მართველობასაო.

ამას ამბობენ და ივიწყებენ, რომ მათ საქმე ფინლიანდიასთანა აქვთ, რომელიც დასავლეთ ევროპის ნაჭერია. ჯერ კიდევ შვედების მიერ ფინლიანდიელებში ღრმად არის ჩანერგილი უფლებრივი შეხედულებანი, ეს უმთავრესი განმასხვავებელი თვისება კულტურულ ქვეყნისა. რთული და მგრძნობიერია უფლებრივი პსიხოლოგია მცხოვრებთა, რომელთაც მცირე ადგილ-მდებარეობაზე ესოდენის ღვაწლით აღორძინეს ფინური კულტურა. კონსტიტუციის დარღვევა საგრძნობელი იქნება მთელს მხარეში. გაბოროტება ფართო მასსისა—აი ერთად-ერთი ნაყოფი მაგნაირ ზომებისა, ნაყოფი თვით გენ.-გუბერნატორის მიერ აღიარებული. ასეთია ტომობრივი თვისება ფინელისა, რომ ერთხელ გულნატკენს, მას დიდხანს ახსოვს წყენა.

რა ინტერესების სახელით არის ეს გალაშქრება დაწყებული? ფინლიანდიაში დამცირებული ხომ არ არის რუსეთის პატივი და ღირსება, ჩვენი თანამემამულენი დევნას ხომ არ იტანენ? უკვე თუ გამოურკვეველი რამ არის რუსეთისა და ფინლიანდიის დამოკიდებულებაში, თუ კანონთა გამოცემის წესის მოწესრიგებაა საჭირო, რომელნიც ორივეს შეეხება, მაშინ ფინლიანდიელნი, როგორც რეალურ პოლიტიკის მიმდევარნი, მათ სიხარულით მიეგებებიან, მხოლოდ კანონში ნაჩვენების გზით. ჩვენი თანამემამულენი ფინლიანდიაში რაიმე შევიწროვებას ან შეურაცხყოფას ითმენენ—ჰკითხეთ ამის შესახებ 8 ათას რუსს, მუდამ ფინლიანდიაში მცხოვრებს, ჰკითხეთ რუსის მუშას, რომელიც სამუშაოდ მიდის იქ, კითხეთ მოაგარაკეთ, მოგზაურთ, აფიცრებს, იქ დაბანაკებულ ჯარის-კაცთ; ჰკითხეთ, ბოლოს, რუსეთის სავაჭრო ფირმებს, რომელთაც ყოველ წელს 40 მილიონ მანეთის ნაწარმოები შეაქვთ. თავდები ვარ, რომ მათგან საჩივარს ვერ გაიგებთ.

მაშ რისთვის უნდა გასწიოთ სახიფათო ექსპერიმენტები? ვისთვის რა სასარგებლოა? რად უნდა გავამწვაოთ ურთიერთობა, რაიცა მცხოვრებთა უმრავლესობის გულის სიღრმეში ღრმა მძულვარებას აღძრავს და დაამკვიდრებს რუსეთისადმი? და ეს მოვიმოქმედოთ ამ დროს, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობას შავი ღრუბელი მოსწოლია?

ხალხთა გულში სტიქიურ მძულვარების გრძნობა მკვიდრ ბუდეს იკეთებს; ეს გრძნობა ბუნებრივის აუცილებლობით შემდეგ ხალხთა შეგნებულ ხელმძღვანელთაც გადაეცემათ.

ის არა სჯობია, რომ სანამ გრძნობას ავყვებოდეთ, გონებას დავეკითხნეთ? არა სჯობია არამკითხე მრჩეველთ შესაფერი ადგილი ვუჩვენოთ?

ე. მ—შვილი.

რუსეთი

პეტერბურგის უნივერსიტეტი. საერო განათლების მინისტრი პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს შეჰკითხებია: მართალია თუ არა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის შემდგარა „ჯგუფები, რომელთაც აზრადა აქვთ ამა თუ იმ სახით აღადგინონ სტუდენტთა ცენტრალური ორგანო და რომ ამ ჯგუფებს ამოურჩევიათ კომისიები ახალ ცენტრალურ ორგანოს წესდების შესამუშავებლად.

სენატორ გარინის რევიზია. მოსკოვის რევიზიას სენატორი გარინი ამ დღესასწაულებში განაგრძობს. ამ ჟამად იჯარების საქმის ქაღალდებს ათვალიერებენ, რის შემდეგ გამოჰკითხავენ იმ მოიჯარადრეებს, რომელთაც მოსკოვის საინტენდანტოსაგან საქმე ჰქონდათ. ამბობენ, მოიჯარადრეებს და საინტენდანტოს მოხელეებს აუარებელი ფული შეუჭამიათო.

თავის მოკვლა. ფინლიანდიის რკინის გზის ერთ სადგურზე მატარებლის ქვეშ ჩავარდნილა მღვდელი პონომრევი, 54 წლისა. პონომრევი ყირიმიდან ჩამოსულა პეტერბურგს. მატარებელს მისთვის თავი მოუწყვეტია. თვით-მკვლელობის მიზეზი ჯერ არ იციან.

ხოლერა პეტერბურგში. ხოლერა პეტერბურგში ჯერაც არ მოსპობილა. დღე ისე არ გავა, რომ ხოლერამ რამდენიმე კაცი არ იმსხვერპლოს. გაზეთ „სლოვოს“ სიტყვით, სენის დაწყებიდან აქამომდე ხოლერით ავად გამხდარა 8,922 კაცი, გარდაცვლილა 3,570, მორჩენილა 5,177.

გერცენშტეინის მოკვლის საქმე. სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატის გერცენშტეინის მოკვლის საქმე სასამართლოში ხელმეორედ გაირჩევა. პოლოვცევს, რომელსაც სასამართლომ 6 წლის კატორღა გადაუწყვიტა, საკასაციო საჩივარი შეუტანია. საქმეს იანვარში გაარჩევს ვიბორგის გოფგერიხტი.

ოდესსის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი. ოდესსის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი პროფ. ზანჩევსკი და პრორექტორი პროფ. ვასკოვსკი, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, საერო განათლების სამინისტრომ სამართალში მისცა. მათთვის უკვე ჩაუბარებიათ საბრალდებლო აქტი, მათ ჰბრალდებათ: თავიანთ უფლების გადამეტება, რამაც ოდესსის უნივერსიტეტის სამოსწავლო ცხოვრება „გახრწნა“, ამასთანავე ამ გახრწნამ გამოიწვია: 1. პროფესსორებისა და სტუდენტების პოლიტიკურ პარტიებად შეკავშირება; 2. მან უნივერსიტეტი მეცნიერების ტაძრის მაგიერ პოლიტიკურ მიტინგების ადგილად გადააქცია, რაშიაც მონაწილეობას იღებდნენ არა თუ გარეშე სტუდენტები, არამედ ქალაქის რევოლიუციონური ელემენტებიც; 3. გააძლიერა სტუდენტებში მიერობის მოთხოვნათა და მოქმედებათა უკანონობის აზრი და სხვა.

ჩამოხრჩობა. სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ვარშავაში—2; ჩამოუხრჩიათ: ეკატერინოსლავში—3, ორენბურგში—3 კაცი.

ოქტომბრისტების პარტიის კრება. ოქტომბრისტებს პარტიის კრება დანიშნული იყო იანვრისთვის, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო კრება მოხდება თებერვალში. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ ოქტომბრისტების ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელნი.

დეპუტატის სამართალში მიცემა. იუსტიციის მინისტრს პრიმორსკის დეპუტატი შილო სამართალში მიუცია. მას აბრალებენ მეორე სათათბიროს შრომის ჯგუფის მოქმედების ანგარიშების გავრცელებას.

საშუალო სკოლის რეფორმა. საერო განათლების სამინისტროში საშუალო სკოლის რეფორმის კანონ-პროექტის განხილვა დროებით შეუჩერებიათ, რადგან უნივერსიტეტის წესდების განხილვას აჩქარებენ. როგორც ამბობენ, საშუალო სკოლის რეფორმის პროექტი ბევრით არაფრით განირჩევა ტოლსტოის საშუალო სკოლისაგან. ახალ პროექტით, პედაგოგიურ საბჭოებს კვლავინდებურად არავითარი უფლება არ ექნებათ, ყველაფერი ისევ დირექტორმა უნდა განაგოს. პროექტი დიდ ყურადღებას აქცევს მასწავლებელთა მატერიალურად უზრუნველყოფას. საშუალო სკოლის რეფორმის პროექტის განხილვას, „რეჩის“ სიტყვით, 1909 შემოდგომისთვის დაამთავრებენ და სახელმწიფო სათათბიროში წარადგენენ.

წერილი რედაქციის მიმართ

„დროების“ 25 დეკემბრის ნომერში ექიმი ბადრიძე სწერს, ვითომ 12 დეკემბერს ჩვენ მიგვენდოს ექიმ ნაზაროვისათვის წაკითხვა და მირთმევა აკაკისათვის ბადრიძის მიერ შედგენილის მისალოცავ ადრესისა, და „პროტესტს“ აცხადებს, რომ ექიმმა ნაზაროვმა თავის მიერ შედგენილი ადრესი წაიკითხა და ისიც რუსულად, თუმცა საექიმო საზოგადოებას გამგეობის გადაწყვეტილებით ადრესი ქართულად უნდა ყოფილიყო წაკითხული.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვადგინოთ სიმართლე.

1. ქუთაისის სამკურნალო გამგეობის სხდომაზე, სადაც მიიწვიეს ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები, როგორც საიუბილეო კომისსიის წევრნი, სრულიად არა ყოფილა ლაპარაკი იმის შესახებ, რუსულად უნდა ყოფილიყო ადრესი თუ ქართულად. ეს კი მართალია, რომ ტფილისში წასაკითხავი ადრესი ქართულად იყო შედგენილი.

2. ექ. ბადრიძის მიერ შედგენილი ადრესი არ მოგვეწონებია. სხდომაზე, სადაც ადრესი წაიკითხა ექიმმა ბადრიძემ, ექიმი ნასარიძე არც კი ყოფილა, და, ვინც ვიყავით, ექ. ნაზაროვს მივანდევით სხვა ადრესის შედგენა.

3. როდესაც ნაზაროვმა დაიწყო ადრესის კითხვა, ექიმმა ბადრიძემ პარტერიდან ხმა-მაღლა დაუყვირა: „ქართულადაო“. ზოგიერთებიც აიყოლია და ხელი შეუშალა წამკითხველს. ექიმ ბადრიძის ეს საქციელი შეუფერებლად და უმართებულოდ მიგვაჩნია არა იმიტომ, რომ ჩვენ თანავუგრძნობდით ადრესის რუსულად წაკითხვას, არამედ იმიტომ, რომ, რა ენაზედაც უნდა წაკითხულიყო ადრესი, ღრმა პატივის-ცემა იუბილიარისა და თვით სამკურნალო საზოგადოების გვავალებდა, გულ-დასმით მოგვესმინა ადრესის შინაარსი, არა თუ დაგვერღვია წესიერება.

საიუბილეო კომმისიის წევრნი: **ვასილ წერეთელი, გაბ. გოკიელი, გრ. ნასარიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.

„გრამოფონი“

გოლოვინის პროს., № 9. ტფილისის განყოფილება გოლოვინის პროს., № 9.

ერიდეთ სიყალბეს!!!

ყურადღება მიაქციეთ აქ დახატულ საფაბრიკო ნიშანს, რომელიც ყველა ჩვენ გრამოფონსა აქვს!!!

გრამოფონი

საუკეთესო გასართობია სახლში!!! მღერის, ლაპარაკობს, უსტვენს, თამაშობს და სხვ. შეძლებას იძლევა ყოველ დროსა და ჟამს, ყური დაუგდოთ საუკეთესო მომღერლის ხმას და სხვა და სხვა კონცერტებს. ყველას შეძლებას აძლევს, გაივითაროს სმენა და გაიმდიდროს მუსიკალური ცოდნა. შეძლებას აძლევს ყველას, გამართოს თავის სახლში საცეკვაო საღამოები. აღვიძებს მუსიკისადმი სიყვარულს. სასარგებლოა არა მარტო როგორც გასართობი, არამედ აღზრდის საქმეშიაც. იგი სახელია ჩვენი მოლაპარაკე მაშინებისა.

ფასები მთელი რუსეთისთვის, კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის ერთნაირია —შეუვაჭრებლად.

ყველა ფირფიტა, რომელიც ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებზე იაფად იყიდება, ან ყალბია ან ძველი, უკვე ნახმარი, და ასეთ ფირფიტებისთვის პასუხის-მგებლობას ვერ ვიკისრებთ.

მიღებულია აპპარატები სულ ახალ კონსტრუქციისა საუკეთესო მექანიზმით და ახალ მოდელებთან.

მიღებულია აუარებელი გურული ხმები.

მოითხოვეთ ნახატი კატალოგები აპარატებისა და სია ფირფიტებისა, რომლებიც იძლევა და იგზავნება უფასოდ.

TRADE MARK
"GRAMMOPHON"

ვისაც ეინტერესება და სურს,

საზოგადოება სთხოვს დაურიდებლად მობრძანდეს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 9. სადაც აპარატებს დაუკრავენ და შეუძლიანთ მუქთად მოისმინოს.

აპარატები იყიდება სამი წლის, პასუხის-მგებლობით!!!

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ის ფირფიტები, რომლებზედაც გადაღებულია ნამღერი მთელ დედამიწაზე ცნობილ მომღერალ ქალებისა და კაცებისა. ამ მომღერალთა გვარები და ფოტოგრაფიული სურათები დაბეჭდილია კატალოგებში.

ამა წლის 1 დეკემბრიდან გაიყიდება ორ-მხრივი ფირფიტები ადგილობრივ ენებზე. პატარა ფირფიტა 75 კაპ. და გრანდი 1 მ. 50 კ. ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას ეს მხედველობაში მიიღოს.

ერიდეთ სიყალბეს!

(15—6.—11)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

ნუ რყვნით ქალებს!..

ანუ

„კაცთუზრიობის მტერნი“

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონება.—მრუშის პსიხოლოგია.—გონს მოდით.

ფასი 65 კაპ.

„დროების“ ხელის მომწერთ დაეთმობათ 50 კაპ. შემოსავლის ნაწილი გადაეცემა ტფილისის ქართველ ქალთა წრეს. დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადრესით: Петербургъ, Сергіевская, 51, ф. Каминской.

ნავთიან ლამპის საუკეთესო ასანთები

„პრაკტუსი“ . . 4 მან.
„ინდექსი“ . . 4 მან.
„გუნდა“ . . . 4 მან.

ყველა ლამპებისთვის გამოსადეგია.

ა. ა. გოგილევი.

ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტფილისში. (10—ხალ—6)

ამერიკულ ვაზის სანამყნე.

ნერგი რუპრესტრის მონტიკულა (ანუ ლელო)

იყიდება ს. კარალეთს გორის მაზრაში თავ. მ. რ. ერისთავის მამულში.

1) 1000 ძირი არშინ-ნახევარი 15 მან.
2) 1000 „ „ „ 10 „
3) 1000 ძირი მოკლე დასარგავად 3 „

ადრესი: ქ. გორში თ. მიხეილ რევაზის ძე ერისთავი. სობოროს ქ. საკუთარ სახლებში. (4—690—4)

1865 წ. 1870 წ. 1882 წ. 1896 წ.

ამხანაგობა
რუსეთ-ამერიკის სარეზინო
მანუფაკტურისა
ფირმით
სამკუთხი
პეტერბურგში

სატეხნიკო ნივთები.
რეზინის ღვედები.
რეზინისა და პენკის მილები.
აზბესტის ნაწარმოები.
აზბესტის კარტონი.
ქირურგიული და საექიმო ნივთები.

წამოსასხამები და პალტოები.
გარეზინებული მატერიები.
ველოსიპედის შინები და კუთვნილებანი:
რეზინის სათამაშოები.
ბურთები.
რეზინის ნაბოიკა.
კალოშები
რეზინის ყოველგვარი ნაწრამოები და ნაწარმოები ძველის რეზინისა.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ დაღს:

1860.
Т.Р.А.Р.М
С.ПЕТЕРБУРГЪ.

ყოველგვარ შეკითხვით და საქონლის დასაკვეთად მსურველმა უნდა მიმართოს

სავაჭრო სახლს.

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“,

ტფილისი, ერევნის მოედანი, საკრედიტო საზოგადოების სახლი.

პრეის-კურანტები პირველსავე მოთხოვნილებაზე უფასოდ იგზავნება. (10—6.—5)

გამოვა 1909 წ. საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

წელიწადი მეხუთე. „ნაკადული“ წელიწადი მეხუთე.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ნაკადულის რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ზუბალაშვილის სახლში N 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

1909 წლის 1 იანვრიდან 1910 წ. 1-ლ იანვრამდის

მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს

24 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მოზრდილთათვის. 36 სურათი გამოჩენილ მხატვრებისა.

გარდა ამისა მიეცემათ პრემიათ: **„რას გვიამბობს ოთახი“**, ავენარიუსისა ვინც წლიურ ფასს სრულად არ შემოიტანს პრემია არ მიეცემა.

ფასი წლიურად ხუთი მანეთი. | მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მანეთი.
ნახევარი წლით ხამი მანეთი. | მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მანეთი.
სამზღვარ-გარედ წლიურად—7 მანეთი. | ნახევარ წლით. . . . —4 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

რედაქტორი მ. ი. დემურიასი.
გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

(5—შ.—4)

სტამბა „სინათლე“. დიდი ვანქის ქუჩა, № 12.